

# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №181  
2021 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

**„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

## მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით (<https://matsne.gov.ge>, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) დამტკიცებული:

1. „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „<sup>33</sup>“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „<sup>34</sup>“ და „<sup>35</sup>“ ქვეპუნქტები:

„<sup>34</sup>“ გაუტეხავი თხილის (თხილი ნაჭუჭით), თხილის გულის ან/და გადამუშავებული თხილის გულის ექსპორტის შემთხვევაში – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური, რომ ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე შედგენილი შესაბამისობის დეკლარაცია შეესაბამება „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

<sup>35</sup>) რბილი ხორბლისაგან (*Triticum aestivum* L.) ან ქონდარა ხორბლისაგან (*Triticum compactum* Host.) მიღებული ხორბლის ფქვილის ან მათი ნარევის თავისუფალ მიმოქცევაში გამზების შემთხვევაში – შესაბამისობის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საქონელი აკმაყოფილებს „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.“.

2. „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19) „ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორის“ „509“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს „510“ და „511“ კოდების გრაფები შემდეგი რედაქციით:

„510	გაუტეხავი თხილის (თხილი ნაჭუჭით), თხილის გულის ან/და გადამუშავებული თხილის გულის ექსპორტის შემთხვევაში – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური, რომ ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე შედგენილი შესაბამისობის დეკლარაცია შეესაბამება „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს
	რბილი ხორბლისაგან ( <i>Triticum aestivum</i> L.) ან ქონდარა ხორბლისაგან ( <i>Triticum</i>



511

compactum Host.) მიღებული ხორბლის ფქვილის ან მათი ნარევის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში – შესაბამისობის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საქონელი აკმაყოფილებს „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს“.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

